ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი 1 აგვისტო 2019წ.

არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის შესახებ

შპს "ალი" მისი დირექტორის მ. ბედიას სახით შემდგომში წოდებული, როგორც "მეიჯარე" ერთის მხრივ და ჟურნალისტ "ლოგაზე"

შემდგომში წოდებული, როგორც "მოიჯარე", მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "მეიჯარე" შპს "ალი" იჯარით გასცემს ქართველიშვილის ქ.-ზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართისაგან სავაჭრო პავილიონს, რომელსაც დროებით სარგებლობაში იღებს "მოიჯარე"

2. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

2.1 "მეიჯარე" ვალდებულია გადასცეს "მოიჯარეს" მის მფლობელობაში არსებული სავაჭრო რიგიდან №14 სავაჭრო ფართი - ავილიონი, რომლის სასარგებლო ფართი შეადგენს 12 კვ მეტრს საექსპლუატაციოდ გამართულ, მზა მდგომარეობაში, ნებისმიერი კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად.

3. მოიჯარე ვალდებულია

3.1 ჩაიბაროს "მეიჯარისაგან" ფართი საექსპლუატაციოდ გამართულ, მზა მდგომარეობაში და გამოიყენოს იგი კომერციული საქმიანობისათვის.

3.2 იქონიოს ფართი სრულ წესრიგში, არ დაუშვას ფართის გადაკეთება, რეკონსტრუქცია ან მოდერნიზება. აღმოუხვრას ყველა დაზიანება, რაც ფართის ექსპლუატაციისას მოხდა.

3.3 დაიცვას სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. სრულ წესრიგში იქონიოს ელექტრობაყვანილობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელები, მათი დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს ისინი საკუთარი სახსრებით.

3.4 დროულად და სრულად გადაიხადოს ელექტროენერგიის, წყლის და კომუნალური მომსახურების ყველა სხვა გადასახადი.

3.5 ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში ჩააბაროს ფართი "მეიჯარეს" პირვენდელ მდგომარეობაში და სრულად აუნაზღაუროს ზარალი საბაზრო ფასებში.

4. ხელშეკრულების შეცვლის და გაუქმების წესი

4.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.

4.2 ფართის ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ელექტროენერგიის, წყლის, კომუნალური მომსახურების ან საიჯარო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, "მეიჯარეს" უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს "მოიჯარეს" ფართის განთავისუფლება და ჩაბარება ამის შესახებ განაცხადებიდან 5 დღის ვადაში (ან დაუყოვნებლივ)

5. ანგარიშსწორება

5.1 მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ქირა შეადგენს ~~400 (ოთხასი)~~ ლარი თვეში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდეს ყოველი თვის ~~15~~ რიცხვში.

6. ფორსმაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებებისაგან იმ ოდენ გადაულახავი გარემოებების შემთხვევაში, როგორიცაა ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო გადატრიალება ან სახელმწიფო აქტია, რომლებიც აფერხებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. ამ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება.

7. განსაკუთრებული პირობები

7.1 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან კონფიდენციალობა და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფინანსური, ტექნიკური და სხვა ინფორმაციის გაუვრცელებლობა.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებას აქვს _____ _____ გამოსაცდელი ვადა და პირობების დაურღვევლობის შემთხვევაში ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გრძელდება უვადოთ, მანამ სანამ რომელიმე მხარე არ ქამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

7.3 ხელშეკრულების გაუქმება მხარეთა მხრიდან უნდა მოხდეს ერთთვიანი წინასწარი სითქვიერი ან წერილობითი გაფრთხილების შემდეგ

8. დასკვნითი ვალდებულებანი

8.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.

8.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების მოუგვარებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის ~~1 აგვისტოდან~~ 2019 წლის ~~31 დეკემბრამდე~~ მხარეთა (პირობების დაურღვევლობის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად უვადოთ, მანამ სანამ რომელიმე მხარე არ გამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე) .

ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ორივე მხარე ვალდებულია წერილობითი ან სითყვიერი შეტყობინება –გაფრთხილება გააკეთოს ხელშეკრულების მოშლამდე ერთი თვით ადრე.

10. მხარეთა რეკვიზიტები

"მეიჯარე"	" მოიჯარე"
შპს "ალი"	შპს "სოკარი"
მისამართი: ამბროლაურის ქ. №10	ს/კ 406285853
ტელ: 237 42 93 მობ. 599 37 42 93	ქ. თბილისი
ბანკი: "ვი თი ბი " ბანკი ჯორჯია	ჩოლოყაშვილის ქ-3 შენობა 3
ს/კ 211398398	ტ. 555128413
ხელმოწერა :	ხელმოწერა:
შპს "ალი"-ს დირექტორი /მზევინარ ბედია/	დირექტორი: _____
ბ.ა	ბ.ა

მე, შპს „ალის“ (ს.კ: 211398398) დირექტორი მზევინარ ბედია, თანახმა ვარ დამქირავებელმა შპს „სიგარამ“ (ს.კ: 406285853) განათავსოს რეკლამა №14 ჯიხურზე (მისამართი: ქ. თბილისი, ქართველიშვილის ქუჩაზე, რესპუბლიკური საავადმყოფოს ღობის გასწვრივ, ს/კ: 01.10.15.007.038) თავისი შეხედულებისამებრ.

შპს „ალის“ დირექტორი: მ. ბედია

12.09.2019 წ.